საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი

კორპორაციის აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესების გამოკვლევა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა „ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი“

შიფრი: 02

თბილისი

2018

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ლელა ბოჭოიძე**

რეცენზენტები: 1. პროფესორი **ნ. დუმბაძე**

2. ეკონომიკის დოქტორი **ა. ნონიაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის 11 ივლისს 15:00 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი I, აუდიტორია 620.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. N77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

პროფ. ნ. ნათბილაძე _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საქართველომ თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მსოფლიოში გაბატონებული ტენდენციების გათვალისწინებით, არჩევანი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ანუ შერეული ეკონომიკის მშენებლობაზე შეაჩერა. ეს უკანასკნელი ისეთი ეკონომიკური სისტემაა, რომელშიც მეურნე სუბიექტების ქცევას ბაზარი და სახელმწიფო განაპირობებს. ამ სისტემაში ადგილი აქვს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი საკუთრების ფორმათა სიმრავლეს და მესაკუთრეთა თანასწორუფლებიანობას. სწორედ ბაზრით და სახელმწიფოს მეშვეობით მართულმა ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს ქართული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და ეფექტიანობის ამაღლება. სამეწარმეო სუბიექტის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გამუდმებით ცვალებადი სამეწარმეო სუბიექტის მოკლე ვადებში მართვა. ამასთანავე, აუცილებელიააღინიშნოს, რომ შესაძლო ნეგატიური შედეგები, რომელიც გამოიწვიაარადროულმაან არასწორმა გადაწყვეტილებებმა, ვნებს არა მარტო სამეწარმეო სუბიექტს, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა კატეგორიის საზოგადოების სუბიექტებსაც. რაც მეტი სუბიექტი ხვდება სამეწარმეო სუბიექტის ინტერესების სფეროში, მით მეტ რეზონანსს იღებს მართვის შეცდომები. ტერმინი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს მართვის პროცესს უმოკლეს პერიოდში არის **ოპერატიული მართვა.** მართვის პროცესის შესახებ თანამედროვე კვლევების ჩატარებისას ძირითადი ყურადღება, როგორც წესი, ეთმობაანალიზს და სხვადასხვა სტრატეგიული ამოცანების დასახვას, როგორიცაა, კორპორაციის გრძელვადიანი მიზნების დაგეგმვა და რეალიზაცია, მისი მარკეტინგული სტრატეგიების ფორმირება, პერსონალის გრძელვადიანი მართვა. მიმაჩნია, რომ ზემოთხსენებულთან ერთად დიდი ყურადღება

უნდაეთმობოდეს კორპორაციების აქტივების ოპერატიულ მართვას, რომელზეც კორპორაციის ყოველდღიური საქმიანობაა დამოკიდებული და სწორედ მას მოაქვს რეალური კომერციული მოგება. კორპორაციების აქტივების მართვისას არსებობს მართვის განსაზღვრული სპეციფიური პრობლემები. მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მიდგომად მიიჩნევა ისეთი ოპერატიული მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციის სხვადასხვა სახის აქტივის ოპერატიულ მართვას. ასეთი მართვის სისტემა მიმდინარე, ყოველდღიური ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტის საშუალებასაც იძლევა და მიმდინარე აქტივების გამოყენების ეფექტურობაც მატულობს.ამიტომ, ჩემი აზრით, აქტუალურად გვევლინება საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის გამოცდილება ოპერატიული მართვის პრობლემების მოგვარებაში. სწორედ კორპორაციული სტრუქტურების ოპერატიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები ზემოქმედებენ დღევანდელ დღეს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. კორპორაციის საბრუნავი აქტივების ოპერატიული მართვის განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესია: სტრუქტურიზაცია, დაგეგმვა, მონიტორინგი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება.

კორპორაციული მართვა იგება შემოწმებული და მოქმედი იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც არსებობს ფინანსების, ფასიანი ქაღალდების, მართვის, საქმიანი ურთიერთობების, ორგანიზაციული სტრუქტურების, მარკეტინგის სფეროში. თუ არსებობს საბაზო სახელმწიფო დოკუმენტები და გარკვეული გამოცდილება, შეიძლება კორპორაციული ურთიერთობის სისტემის აგება კონკრეტული კორპორაციის დონეზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კორპორაცია, მისი უმაღლესი მენეჯმენტის სახით, ნაცვლად დაქირავებული პერსონალის სასტიკი მართვისა, უნდააკეთებდეს არჩევანს საქმიანი ურთიერთობების სისტემაში თანამშრომლების თანდათანობით ჩართვის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს

ნორმალური კორპორაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში.

დღეს კორპორაციის განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული სწორად ორგანიზებულ ფინანსურ საქმიანობაზე და მის ჩარჩოებში საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობაზე. კორპორაციის საკრედიტო სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს, პირველ რიგში, მობილიზებული რესურსების ოპტიმიზაციაზე. ამრიგად, კორპორაციის წარმატებული ფინანსური საქმიანობა დამოკიდებულია როგორც უმაღლესი მენეჯმენტის დროულ და სწორ გადაწყვეტილებებზე, ისე სტრატეგიებზე, რომელიც უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ კორპორაციის შიდა პირობების საფუძველზე, არამედ ქვეყანაში მოცემულ მომენტში არსებული ფინანსური სისტემის ზემოქმედების გათვალისწინებით.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) კორპორაციულ მართვას განსაზღვრავს როგორც „კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურებს და პროცესებს“. კარგად მართულ კორპორაციებს უკეთესი და გაცილებით იაფი წვდომააქვთ კაპიტალთან და გრძელვადიან პერიოდში წინ უსწრებენ სუსტად მართულ ასეთივე კორპორაციებს. მართვის უმაღლესი სტანდარტების მქონე კორპორაციები ამცირებენ ბევრ რისკს, რომელიც დაკავშირებულია კორპორაციაში ინვესტიციის განხორციელებასთან. ზოგადად, კარგად მართულ კორპორაციებს დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი კორპორაციები გაცილებით ჯანსაღია და მეტ ღირებულებას ქმნიან აქციონერების, თანამშრომლების, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის, ვიდრე სუსტად მართული კორპორაციები, რომლებმაც შეიძლება შეამცირონ სამუშაო ადგილები, გამოიწვიონ საპენსიო დანაკარგები და შეარყიონ ნდობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ. მაღალი ხარისხის კორპორაციული მართვაამარტივებს კორპორაციის ბიზნეს-პროცესებს და განაპირობებს უკეთეს საოპერაციო საქმიანობას და დაბალ კაპიტალდანახარჯებს. ამან კი, თავის მხრივ,

შეიძლება ხელი შეუწყოს გაყიდვების და მოგების გაზრდას კაპიტალური დანახარჯების და მოთხოვნების პარალელურად. მართვის ეფექტიანი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებს, წესებს, უფლებებსა და დაინტერესებული მხარეების მოვალეობებს. სანიმუშო კორპორაციული მართვა ემყარება ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის, დროულობის, სისრულისა და სიზუსტის პრინციპებს ყველა დონეზე.

კორპორაციის საწარმოო პროცესების ოპერატიული მართვის სისტემა შეიძლება იყოს ერთიანი ყველა საწარმოო პროცესისთვის, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს კორპორაციის მიმდინარე პროცესების სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნები და მკაფიოდ უნდააღწეროს ტექნოლოგიური პროცესები. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ეხმარება სხვადასხვა მასშტაბის კორპორაციის ხელმძღვანელობას გადაჭრას ეს რთული ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის უფრო სწრაფად გაცვლისა და მათ საფუძველზე სწორი გადაწყვეტილებების მიღების გზით.

აქტივები არის ქონებისა და ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის ორგანიზაციას, ფირმას, კომპანიას. ამ სიტყვის ფართო გაგებით, აქტივი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელსაც აქვს ფულადი ღირებულება. მიღებულიააქტივების დაყოფა მატერიალურ დაარამატერიალურ აქტივებად.

კორპორაციის აქტივები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფში: არასაბრუნავი აქტივები და საბრუნავი აქტივები. არასაბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება შემდეგი სახით: ძირითადი სახსრები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობა, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება და სხვ. საბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება, როგორც: მარაგები; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადააღემატება 12 თვეს; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც არ აღემატება 12 თვეს; მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება, ფულადი სახსრები და სხვ.

საბრუნავი აქტივები გვევლინება ორგანიზაციის პოტენციური რესურსის ელემენტად, რომელიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო საქმიანობის უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად და გამოიყენება მომავალში ეკონომიკური მოგებისათვის. ეს არის აქტივები, რომლებსაც შედარებით სწრაფად გადააქვთ თავიანთი ღირებულება ხარჯებზე, ისინი უნდა გადაიქცეს ნაღდ ფულად ან იქნას გამოყენებული ერთი წლის განმავლობაში ან პროდუქციის წარმოების ოპერაციული ციკლის განმავლობაში.

აქტივებისა და პასივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების მიღება პირდაპირ არის დამოკიდებული ბაზრის მდგომარეობაზე. ამიტომ სახსრების დაბანდებისას კონსულტაცია უნდა გავიაროთ სპეციალისტებთან, რომელთაც შეუძლიათ გააკეთონ პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი.

კორპორაციების აქტივების სწორად მართვისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მისი ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი ფინანსური მდგომარეობის ხარისხის საფეხური. ანალიზის სქემა წარმოადგენს იერარქიულ სისტემას, რომელშიც შედის სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. კორპორაციის საერთო მდგომარეობის ანალიზისთვის გამოიყენება მონაცემები, რომელიც მიღებულია ბუღალტრული ბალანსის ანალიზით და ფინანსური შედეგების ანგარიშებიდან.

ამგვარად, სადისერტაციო კვლევის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ა) თანამედროვე პირობებში კორპორაციის საბაზრო საქმიანობის ოპერატიული მართვის არსის მეცნიერულად გააზრების აუცილებლობით; ბ)თანამედროვე მდგომარეობის მთლიანი ანალიზის არარსებობითა და კორპორაციის სხვადასხვა სახის აქტივის ოპერატიული მართვის სისტემის ფორმირების პრობლემით; გ)კონკურენტული ბრძოლის გაძლიერების პირობებში,როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, კორპორაციის საწარმოო საქმიანობის მნიშვნელობის გაზრდით; დ)მმართველობითი

საქმიანობის ოპერატიული ასპექტების აქტივიზაციის აუცილებლობით, რამდენადაც კომუნიკაციური შესაძლებლობების გაღრმავება და გაფართოვება ზრდის გადაცემული ინფორმაციის ზომებს, ხოლო ეს კი პირდაპირ მოქმედებს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დროზე.

კორპორაციის აქტივების ოპერატიული მართვის მნიშვნელობის გაზრდას მსოფლიო პრაქტიკაც ადასტურებს. ამიტომ თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ გაზრდილია კორპორაციის აქტივების ეფექტური ოპერატიული მართვის მოთხოვნა, თუმცაამ მართვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია და პრაქტიკული რეკომენდაციები მეტად მწირია.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია საქართველოში კორპორაციების აქტივები და ოპერატიულიმართვა. კორპორაციების წარმატება და კონკურენტუნარიანობა აქტივებზეა დამოკიდებული, ამდენად მისი ოპერატიული მართვის გაუმჯობესებას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. კორპორაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ამიტომ მისი ეფექტურად მართვის გზების დასახვა და კორპორაციული მენეჯმენტის სხვა საკითხები არა ერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა. მაგალითად, ნ ლაზვიაშვილი, გ. ცაავა, ა. ინგოროყვა, რ. კაკულია, ბ. ბიწაძე, ზ. ლიპარტია და სხვები, თუმცა თითქმის არაფერი მოიძებნება საქართველოში კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის კვლევის შესახებ. ამიტომ ბევრია გამოუკვლეველი და შესასწავლი საკითხი აღნიშნული თემის ირგვლივ.

კვლევის მიზანი დაამოცანები. ვინაიდან, საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრება მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სწორად გადაწყვეტას დაამაში კორპორაციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს, მისი საქმიანობის მართვის სრულყოფაც კვლევებს მოითხოვს. კორპორაციული სტრუქტურების ოპერატიული მართვის

თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები ზემოქმედებენ დღევანდელ დღეს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. გამომდინარე აქედან, სადისერტაციო თემის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიმართულებების გამოკვლევა. ამ მიზნის მიღწევისათვის უნდა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- გაანალიზებულ იქნას კორპორაციების აქტივების მართვის და ოპერატიული მართვის პრობლემატიკა, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევართა შრომებში;
- გამოკვლეულ იქნას კორპორაციები საქართველოში და მათი აქტივების ოპერატიული მართვის თავისებურებები;
- დასაბუთდეს კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიმართულებები;
- დაისახოს გზები კორპორაციების მიერ მათი აქტივების ოპერატიული მართვის ეფექტიანობის ამაღლებისთვის და განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულიააბსტრაქციის, რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის, კომპლექსური მიდგომის, მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური, ლოგიკურ-თეორიული ანალიზის, სინთეზის, შედარებითი და მეცნიერული კვლევის სხვა თანამედროვე მეთოდები. ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილული იქნა კორპორაციული მართვის ზოგადი საკითხები, როგორიცაა ცნება, მიზანი და მნიშვნელობა, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათი გავლენა კორპორაციების საქმიანობაზე; შედარებითი მეთოდის მეშვეობით განხილულ იქნა კორპორაციული მართვის მოდელები, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და ზოგადად კორპორაციების საქმიანობა ეფექტურობის კუთხით. ამასთან, კვლევის შედეგები არ შეიძლებაწინააღმდეგობაში მოდიოდეს ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ

აღიარებულ დებულებებთან. ამდენად, ეკონომიკური თეორიაც ზოგადად გვევლინება მეთოდოლოგიურ საფუძვლად. კვლევისას ფართოდ იქნა გამოყენებული სტატისტიკური მასალები, რომლის წყაროც არის საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სიახლეებია:

- ✓ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრება მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სწორად გადაწყვეტას, რაშიც კორპორაციები ასრულებენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს. სწორედ ამიტომ კორპორაციის საქმიანობის მართვის სრულყოფა გარკვეულ კვლევებს მოითხოვს. სწორედ ასეთ ერთ-ერთ კვლევას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი. კორპორაციის სწორი მართვისთვის აუცილებელია შიდა და გარე კონტროლის კარგი მექანიზმების არსებობა, რაც საწარმოს საშუალებას მისცემს წარმატებული მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონკურენციაში და მიიზიდოს ინვესტორები. მაღალი ხარისხის კორპორაციული მართვაამარტივებს კორპორაციის ბიზნეს-პროცესებს და განაპირობებს უკეთეს საოპერაციო საქმიანობას და დაბალ კაპიტალდანახარჯებს. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს გაყიდვების და მოგების გაზრდას კაპიტალური დანახარჯების და მოთხოვნების პარალელურად;
- ✓ გამოკვლეული კორპორაციული მართვის სისტემების მიხედვით კეთდება დასკვნა, რომ მართვის ეფექტიანი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებს, წესებს, უფლებებსა და დაინტერესებული მხარეების მოვალეობებს. სანიმუშო კორპორაციული მართვა ემყარება ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის, დროულობის, სისრულისა და სიზუსტის პრინციპებს ყველა დონეზე;
- ✓ კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ კორპორაციის საბრუნავი აქტივების ოპერატიული მართვის განხორციელების პროცესში

უმნიშვნელოვანესია: სტრუქტურიზაცია, დაგეგმვა, მონიტორინგი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება;

- ✓ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქტივებისა და პასივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების მიღება პირდაპირ არის დამოკიდებული ბაზრის მდგომარეობაზე. ამიტომ აუცილებელია პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი. ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური მენეჯერების საქმიანობასა და ფინანსური მენეჯმენტის დონეზე. ფინანსური მენეჯერები ადგენენ ფინანსებზე მოთხოვნებისა და მათი ხარჯვის ოპერატიულ გეგმებს, რათა ორგანიზაციას არ წარმოეშვას სიძნელეები მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად და ფინანსებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

- ✓ კომერციული ბანკების საქმიანობის კვლევამ გვიჩვენა, რომ აქტივების ხარისხის შეფასება კაპიტალის საკმარისობის ანალიზთან ერთად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს ბანკის საიმედოობის ხარისხის, დონის და მისი საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. აქტივების ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად უწყობენ ისინი ხელს კომერციული ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზნის მიღწევას, უფრო კონკრეტულად კი მის მომგებიან სტაბილურ ფუნქციონირებას.აქტივების მაღალი ხარისხი განისაზღვრება დაბანდებული ფულადი სახსრების სრული ან პოტენციურად სრული დაბრუნებითობით ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადებში, ბანკის კუთვნილი დაგროვებული, მომრავლებული ღირებულების გათვალისწინებით (განთავსებული აქტივებისათვის) ან შესაძლებლობით, მოხდეს მოცემული აქტივის რეალიზაცია ფასით, არანაკლებ მისი საბალანსო ღირებულებისა (ბრუნვისგარეშე აქტივებისათვის);

- ✓ გადამწყვეტიმნიშვნელობაენიჭებაბანკებისზედამხედველობისრეგულირებისსრულყოფისპროცესშიახალიტიპისფინანსურიანგარიშგებებისდანერგვას,რომლებიც,თავისმხრივ,ბანკებისსაქმიანობისგამჭვირვალობასთანერთადგაითვალ

ისწინებენრისკისმენეჯმენტისადაბანკისკორპორაციულიმმართველობისგაუმჯობესებას,საბანკოსაქმიანობისყოველმხრივიანალიტიკური, კომპლექსურიშეფასებისშესაძლებლობებს,რაც,ჩვენიაზრით,მხედველობაშიუნდა იქნესმიღებულისაქართველოსსაბანკოსისტემისფუნქციონირებისპროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა -გამოიხატება იმით, რომ იგი მენეჯმენტის თეორიის შემდგომი გაღრმავებაა და მისი საშუალებით შეიძლებაახლებურად გაანალიზდეს კორპორაციების მიერ აქტივების ოპერატიული მართვის მნიშვნელობა მისი ეფექტიანობის ამაღლებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები და შეთავაზებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნას კორპორაციების მენეჯმენტის მიერ აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისთვის. კერძოდ, საქართველოს კომერციულ ბანკებს შეუძლია მისი გამოყენება ფინანსური მენეჯმენტის, აქტივების ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებული გეგმების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა თსუ-ს პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტსა და ახალ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია: სამ სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც დაბეჭდილია რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე სტუ-ს მოთხოვნათა შესაბამისად აკრეფილ 154 გვერდს, საიდანაც ხუთი გვერდი დანართს წარმოადგენს.ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, შვიდი ქვეთავის,

დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომში წარმოდგენილია4 ცხრილი და5 ნახაზი.

2. ნაშრომის მოკლე დახასიათება

სადისერტაციო კვლევის პირველი-ლიტერატურის მიმოხილვის განყოფილება წარმოდგენილია ორი ქვეთავით: „კორპორაციების აქტივების მართვის პრობლემატიკა ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში“ და „კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის ზოგადი დახასიათება“.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კერძო სექტორის როლის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს კორპორაციული მენეჯმენტი. სათანადო მართვა ეხმარება კორპორაციებს იმოქმედონ მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, რაც ხელს უწყობს უცხოელი დაადგილობრივი ინვესტორების ნდობის შენარჩუნებასა და ხანგრძლივი კაპიტალდაბანდებების მოზიდვას. სწორედ ამიტომ კორპორაციული მართვის ეფექტურობის ამაღლებისთვის გარკვეული კვლევებია საჭირო. კორპორაციული მენეჯმენტი არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა, მათგან აღსანიშნავია: ნ. ლაზვიაშვილი, ი.ბურდული, მ. ხარხელი, გ. ქეშელაშვილი, ბ. ბიწაძე, ზ. ლიპარტია, დ. გადელია, თ. შენგელია, ნ. ტაბატაძე, ზ. ღუდუშაური, ა. ტომპსონი, გ. ცაავა, მ. თეთრუაშვილი, რ. კაკულია, გ. ღავთაძე, თ. თურმანიძე, უ. სამადაშვილი, მ. ნანიტაშვილი, გ. ადეიშვილი, ლ. ბახტაზე, ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ვ. ვესნინი, ე. ივანოვა და სხვ., თუმცა კორპორაციების ოპერატიულ მართვაზე ინფორმაცია საკმაოდ მწირია.

საქართველოს კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბების სტადიაშია. არსებობს მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები-კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კანონი „ფასიანი ქაღალდების

ბაზრის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლებსაც იცავენ დაასრულებენ საქართველოს კორპორაციები, თუმცა მათ დახვეწა დასაზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება სჭირდებათ.

მომდევნო ქვეთავში განხილულია კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის პრობლემები. თანამედროვე, არც თუ ისე მარტივ, პირობებში, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ისე სწრაფად იცვლება, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მისდიო, ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობა გამუდმებით უნდა იღებდეს ზომებს საწარმოს საქმიანობის სტაბილიზაციისთვის. ეკონომიკაში ასეთი მდგომარეობის არსებობის მიზეზი ბევრია. მათგან აღსანიშნავია შემდეგი: პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობა;მართვის თითოეულ საფეხურზე ხელისუფლების არარსებობა;საბაზრო ეკონომიკის მმართველი კადრის არასაკმარისი კვალიფიკაცია; ეკონომიკის დაუბალანსებლობა. ამ პირობებში, სამეწარმეო სუბიექტების მენეჯმენტის წინაშე, სტრატეგიულ ამოცანებთან ერთად დგება მკაფიო, სწორი და თანამედროვე რეაგირების ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, როგორც სამეწარმეო სუბიექტის შიგნით, ისე მის ირგვლივ არსებულ გარემოში. მიმდინარე საქმიანობის ძირითადი ფინანსური, საწარმოო და სხვა მსგავსი მახასიათებლების გამუდმებული თვალყურის დევნების შემთხვევაში, წარმოიქმნება მათი ზუსტი ფიქსაციისა დაარასასურველი შედეგების ლიკვიდაციისთვის თანამედროვე ზომების მიღების შესაძლებლობა.ტერმინი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს მართვის პროცესს უმოკლეს პერიოდში არის ოპერატიული მართვა.ამიტომაქტუალურად გვევლინება საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის გამოცდილება ოპერატიული მართვის პრობლემების მოგვარებაში. სწორედ კორპორაციული სტრუქტურების ოპერატიული მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები ზემოქმედებენ დღევანდელ დღეს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. კორპორაციის საბრუნავი აქტივების ოპერატიული მართვის განხორციელების პროცესში

უმნიშვნელოვანესია: სტრუქტურიზაცია, დაგეგმვა, მონიტორინგი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება.

კორპორაციული საქმიანობის მრავალწლიანმა წინააღმდეგობრივმა პრაქტიკამ ანალიტიკოსებს მისცა ძალიან ბევრი მასალა კორპორაციული მართვის ერთიანი ნორმებისა და რეკომენდაციების განზოგადებისა და შემუშავებისათვის. ასე მომზადდა 1992 წელს აშშ–ს სამართლის ამერიკული ინსტიტუტის მიერ „კორპორაციული მართვის პრინციპები“. კორპორაციის საქმიანობის ყველა პრინციპულასპექტში მიღწეულ უნდა იყოს კორპორაციული ურთიერთობის ყველა მონაწილეთა ინტერესების ბალანსი, რაც დადებითად აისახება მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობასა და ხარისხზე. კორპორაციის წარმატებული ფინანსური საქმიანობა დამოკიდებულია როგორც უმაღლესი მენეჯმენტის დროულ და სწორ გადაწყვეტილებებზე, ისე სტრატეგიებზე, რომელიც უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ კორპორაციის შიდა პირობების საფუძველზე, არამედ ქვეყანაში მოცემულ მომენტში არსებული ფინანსური სისტემის ზემოქმედების გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავია: შედეგები და მათი განსჯა, რომლის პირველ ქვეთავშიც განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კორპორაციები საქართველოში; კორპორაციების აქტივებისმართვის მეთოდების კვლევა. ყურადღებაა გამახვილებული საქართველოში მოქმედ საწარმოთა ექვს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, განსაკუთრებით კი სააქციო საზოგადოებებზე. ქართველი მეცნიერი ი. მესხია კორპორაციის შემდეგნაირ განმარტებას გვაძლევს: „კორპორაციაარის რამდენიმე პირის გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად... კორპორაციის ყველა მონაწილე ქმნის დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, უმეტესწილად აქციონერული საზოგადოებების სახით“. ქართველი მეცნიერი უ. სამადაშვილიც იგივე აზრს გამოთქვამს: „კორპორაციაარის აქციონერული საზოგადოება, რომელიც

აერთიანებს რამდენიმე ფირმის საქმიანობას მათი საერთო მიზნის მიღწევისაან პრივილეგიების დაცვისთვის“. ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში სააქციო საზოგადოებაარის ქვეყნის სამეურნეო სისტემის საძირკველი. განვითარებულ ქვეყნებში საკუთრების აქციონერულმა ფორმამ შეასრულა სამი ფუნქცია: კაპიტალის აკუმულაციის, საკუთრების გაზრდა-გაფართოების და შრომის სამეურნეო მოტივაციის. სააქციო საზოგადოებაამ ფუნქციებს შეასრულებს ჩვენს ეკონომიკაშიც. სააქციო საზოგადოებებს შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია, რაც ასე საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოს უმსხვილესი კორპორაციების რეიტინგი და განხილულია რამოდენიმე კორპორაციის საქმიანობა, მაგალითად: სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს რკინიგზა“,„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ლუკოილი“ და სხვა. განხილულია აქციონერული საკუთრების მოდელები: ინგლისურ-ამერიკული და გერმანულ-იაპონური.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) კორპორაციულ მართვას განსაზღვრავს როგორც „კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურებს და პროცესებს“. კარგად მართულ კორპორაციებს უკეთესი და გაცილებით იაფი წვდომააქვთ კაპიტალთან და გრძელვადიან პერიოდში წინ უსწრებენ სუსტად მართულ ასეთივე კორპორაციებს. მართვის უმაღლესი სტანდარტების მქონე კორპორაციები ამცირებენ ბევრ რისკს, რომელიც დაკავშირებულია კორპორაციაში ინვესტიციის განხორციელებასთან.

კორპორაციული მართვის მექანიზმის ეფექტურობის გასაღები კომპანიის მართვის ორგანოებს შორის ფუნქციათა იმგვარი გადანაწილებაა, რომ ერთის მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს საჭირო ინფორმაციის დროული გაცვლა

მართვისა და ზედამხედველობის ორგანოებსა დააქციონერთა საერთო კრებას შორის, მეორეს მხრივ, ხელი არ შეეშალოს თითოეულის მიერ თავისი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას.

კორპორაციებში წარმატების მიღწევის არსებით მხარეს ოპტიმალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს. ამის გარეშე არ მიიღწევა მაღალი საბოლოო შედეგი.ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური მენეჯერების საქმიანობასა და ფინანსური მენეჯმენტის დონეზე. ფინანსური მენეჯერები ადგენენ ფინანსებზე მოთხოვნებისა და მათი ხარჯვის ოპერატიულ გეგმებს, რათა ორგანიზაციას არ წარმოეშვას სიძნელეები მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად და ფინანსებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღების, განკარგულებებისა და კონტროლის შემუშავების სტადიებს. რაც შეეხება სტრატეგიულ ფინანსურ მენეჯმენტს, იგი გულისხმობს ინვესტიციებისა და კაპიტალის სტრუქტურის გრძელვადიან მართვას, ხოლო ოპერატიული ფინანსური მენეჯმენტი-ლიკვიდობის უზრუნველყოფას. კორპორაციის ფინანსების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ფინანსური ანალიზის სისტემატური ჩატარება.

მომდევნო ქვეთავში- კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიმართულებების დადგენა -განხილულია კორპორაციების კონკრეტულ ჯგუფში-კომერციულ ბანკებში აქტივების ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიმართულებები. გარდამავალიეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების წინაშე პრიორიტეტული გახდა ისეთი ამოცანები, როგორებიცაა: ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა; ფინანსური რესურსების მოზიდვის წყაროების შერჩევა; ფინანსური რესურსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება; ფინანსური რესურსების გამოყენების

ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრა და დასაბუთება; ფინანსური მართვის ეფექტიანობის შეფასება.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების რეიტინგთან (ცხრილი 1.) ერთად განვიხილავთ რამოდენიმე მათგანის საქმიანობის პრიორიტეტებს.

ცხრილი 1.

ბანკების რეიტინგი მთლიანი აქტივების მიხედვით

	ბანკის დასახელება	საანგარიშგებო პერიოდი (30.06.2017)	წინა წლის შესაბამისი პერიოდი
1.	ს.ს თიბისი ბანკი	11 809 595 031	7 368 161 594
2.	ს.ს. საქართველოს ბანკი	10 762 514 773	8 616 884 862
3.	ს.ს. ლიბერთი ბანკი	1 720 975 289	1 611 748 918
4.	ს.ს. ვითიბი ბანკი ჯორჯია	1 525 262 527	1 310 477 373
5.	ს.ს. პროკრედიტ ბანკი	1 270 168 764	1 233 555 647
6.	ს.ს. ბანკი ქართუ	1 234 853 809	1 149 148 713
7.	ს.ს. ბაზისბანკი	1 205 898 263	806 041 556
8.	ს.ს. ტერაბანკი	741 497 120	684 516 575
9.	ბანკი კრედო	638 131 328	-
10.	ს.ს. ხალიკ ბანკი საქართველო	377 674 949	323 117 208
11.	ს.ს. ფინკა ბანკი საქართველო	288 569 390	260 470 828
12.	ს.ს. იშბანკი საქართველო	272 880 284	225 908 671
13.	ს.ს. პაშა ბანკი საქართველო	250 923 035	277 664 168
14.	ს.ს. აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო	91 819 026	119 659 275
15.	ს.ს. ზირაათ ბანკი საქართველო	77 176 716	100 416 226
16.	ს.ს. სილქ როუდ ბანკი	44 572 780	63 853 969

კომერციული ბანკის ეფექტური მუშაობა რისკისა და შემოსავლის სწორად შერჩეულ თანაფარდობისაზე არის დამოკიდებული. რისკი ყველა სახის აქტიური და პასიური ოპერაციებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ნაირსახეობასთან არის დაკავშირებული და იგი იმის ალბათობას წარმოადგენს, რომ ფინანსურმა პრობლემებმა ბანკის საქმიანობის მაჩვენებლებზე და ფინანსურ

მდგომარეობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ, ბანკის ოპერაციების დაგეგმვისას, თითოეული სახეობის აქტიური ოპერაციისა და რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციის სარგებლიანობა და დანახარჯები უნდა იქნეს განსაზღვრული, რომლებიც ბანკის მიზნების მიღწევისა დაამოცანების შესრულებისათვის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვისათვის არის აუცილებელი. გადაწყვეტილების შერჩევისათვის ფინანსურ ინფორმაციას ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად სრულად უნდა იქნეს გამოყენებული, იგი ხელს უნდა უწყობდეს მოგების მიღებას და ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების შემცირებას.

ბანკისეფექტიანიმართვაარისრეგულირებისსისტემისმეშვეობითმოგებისმართვა,
რომელიცმოცემულიპირობებისათვისოპტიმალურიფინანსურიშედეგისმიღების შესაძლებლობასიძლევა.
მოგებისმართვაბანკისრეალურიშემოსავლებისადახარჯების,
თითოეულიკონკრეტულისახეობისმომსახურებისგანხორციელებაზედანახარჯებ ისაღრიცხვისშესახებმუდმივიოპერატიულიინფორმაციისარსებობასითვალისწი ნებს. ბანკის ფინანსური მდგრადობა ზუსტად ასახავს მის საქმიანობას და ბანკის მდგრადობის კომპლექსურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას ჩატარებული საბანკო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობის შეფასების შედეგების გამოყენებამ არსებითად შეიძლებაასწიოს მისი ეფექტურობა. ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მიზანმიმართულად ტარდება, როგორც მისაღები მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესაფასებლად, ისე ბანკის საქმიანობის ოპერატიული მართვისთვის.

მეორე თავის მესამე ქვეთავში-საქართველოში კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის თავისებურებების გამოვლენა -ადგილი ეთმობა ისეთი

მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიცაა: კორპორაციის მარაგების ოპერატიული მართვის მეთოდიკა; ხარჯების ოპერატიული მართვა; შესყიდვების ოპერატიული მართვა;

ფინანსების ოპერატიული მართვა; დებიტორული დავალიანების ოპერატიული მართვის მეთოდოლოგია; დებიტორული დავალიანების გაყიდვა: ფაქტორინგი და ფორფეიტინგი; მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ოპერატიული მართვა; საინვესტიციო ანალიზის ელემენტები; ნაღდი ფულის ოპერატიული მართვის მეთოდოლოგია.

ოპერატიული მართვის ძირითად ასპექტებს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ოპერაციების ოპერატიული მართვა, რომელიც მოიცავს:

- საწარმოო პროცესის ოპერატიულ მართვას;
- ხარჯებისა და შესყიდვების ოპერატიულ მართვას;
- მარაგების ოპერატიულ მართვას.

ოპერატიული მართვის შემდეგი ძირითადი ასპექტია, ფინანსების ოპერატიული მართვა, რომელიც გულისხმობს:

- დებიტორული დავალიანების ოპერატიულ მართვას;
- მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ოპერატიულ მართვას;
- ნაღდი ფულის ოპერატიულ მართვას.

საწარმოს ოპერატიული მართვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მომენტები:

- ურთიერთობები;
- ფუნქციები;
- წარმოების კონტროლი.

დებიტორული დავალიანების ოპერატიული მართვისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

- კლირინგული ცენტრების შექმნა;

- ფასიანი ქაღალდების გამოყენება;
- ვალის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა.

ოპერატიული სისტემის მართვა მდგომარეობს შემდეგი ქმედებების თამიმდევრულ შესრულებაში:

1 მართვა, რომელიც ხორციელდება შესრულებაზე კონტროლის საფუძველზე;

2 მართვა ექსტრაპოლაციის (ცვლილებების ტემპის დაჩქარება) საფუძველზე;

3 ტენდენციების ცვლილების განსაზღვრისა და მათზე რეაქციების საფუძველზე მართვა;

4 მოქნილი ექსტრემალური გადაწყვეტილების საფუძველზე მართვა.

მომდევნო ქვეთავში- საქართველოში კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის თანამედროვე მიდგომების დამუშავება- განხილულია შემდეგი საკითხები: ოპერატიული მარტვის სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს შემდეგი ამოცანების განხორციელებას: მომარაგება, სასაწყობე აღრიცხვა, კონსიგნაციური საქონლის ოპერაციები, საცალო ვაჭრობა.ძირითადი პრინციპები,რომელთა რეალიზაციაც აუცილებელია ოპერატიული მართვის სისტემის ფორმირებისთვის, არის შემდეგი: 1) დროულობის პრინციპი; 2) რაციონალური სიზუსტის პრინციპი; 3) დაჯგუფების პრინციპი; 4) უფლებამოსილების დელეგირების პრინციპი; 5) ადაპტირების პრინციპი.

ჩვენ განვიხილავთ ოპერატიულ მართვას, როგორც მართვას უმოკლეს ვადაში, ამიტომ კორპორაციის ხელმძღვანელობამ, ოპერატიული მართვის ღონისძიებების განხორციელებისას, ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმონ საბრუნავი აქტივების მართვას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ოპერატიული მართვის ძირითადი ასპექტები, ხოლო თავად ოპერატიული მართვის პროცესი უნდა შედგებოდეს რამდენიმე პარალელური პროცესის განხორციელებისგან.

აღნიშნულ ქვეთავში განხილულიააგრეთვე: ოპერატიული მართვის გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში დაოპერატიული მართვის სისტემის შექმნის თანამედროვე ტენდენციები. საწარმოს მართვის საერთაშორისო კონცეფციებიდან აღსანიშნავია: MRP II-Manufacturing resources Planning, Manufacturing Execution System- MES, Just-In-Time.

ბოლო ქვეთავში-საქართველოში კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის მიმართულებების ჩამოყალიბება - გამახვილებულია ყურადღება კორპორაციის საწარმოო პროცესების მართვაზე: მარაგების ოპერატიული მართვა, ფინანსური რესურსების ოპერატიული მართვა და სხვ.

ამგვარად, ოპერატიული მართვის სისტემის ძირითადი მიზანია წარმატებების მიღწევაარა შიგნით, არამედ კორპორაციის გარეთ. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სიტუაციური მიდგომა მართვასთან, რომელიც დაფუძნებული იქნება შემდეგ მდგომარეობებზე:

- როგორ წარმატებით შეეგუება კორპორაცია გარემოს-ტექნიკურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად;
- შეძლებს თუ არა კორპორაცია საფრთხეების განჭვრეტას;
- გაუძლებს თუ არა კორპორაციაარასასურველ ზემოქმედებებს;
- შეძლებს თუ არა კორპორაცია შექმნილი მდგომარეობიდან მაქსიმალური მოგების მიღებას;
- როგორია ორგანიზაციული კულტურა: ქცევის ინდივიდუალური და ჯგუფური ნორმები, ურთიერთქმედების ტიპები და სხვა.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ მართვის სისტემის განვითარების ოთხი ეტაპი:

1.შესრულების კონტროლის საფუძველზე მართვა;

2.ექსტრაპოლაციის(ცვლილებების დაჩქარების ტემპი) საფუძველზე მართვა;

3. ტენდენციის ცვლილების განჭვრეტისა და მათზე რეაქციის საფუძველზე მართვა;

4. მოქნილი ექსტრემალური გადაწყვეტილებების საფუძველზე მართვა, როდესაც ამოცანები უცებ ჩნდება და მათი დროულად გათვალისწინება შეუძლებელია.

ძირითადი დასკვნები

1. დადგენილ იქნა, რომ შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების დახვეწა საშუალებას მისცემს კორპორაციას წარმატებული მონაწილეობა მიიღოსსაერთაშორისო კონკურენციაში და მიიზიდოს ინვესტორები. კორპორაციებში აქტივების გაუმჯობესებული ოპერატიული მართვაამარტივებს ბიზნეს-პროცესებს და განაპირობებს უკეთეს საოპერაციო საქმიანობასა და დაბალ კაპიტალდანახარჯებს;

2. კვლევამ გვიჩვენა, რომ კორპორაციების აქტივების ოპერატიული მართვის ეფექტიანი სისტემა უნდა ემყარებოდეს ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის, დროულობის, სისრულისა და სიზუსტის პრინციპებს;

3. ასევე, დადგენილ იქნა, რომ კორპორაციების საბრუნავი აქტივების ოპერატიული მართვის განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესია: სტრუქტურიზაცია, დაგეგმვა, მონიტორინგი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება;

4. კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ აქტივების ხარისხის შეფასება და კაპიტალის საკმარისობის ანალიზი არის ის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, რომლებიც კორპორაციის საქმიანობის ეფექტურობას განაპირობებს;

5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კორპორაცია, მისი უმაღლესი მენეჯმენტის სახით, ნაცვლად დაქირავებული პერსონალის სასტიკი მართვისა, უნდააკეთებდეს არჩევანს საქმიანი ურთიერთობების სისტემაში

თანამშრომლების თანდათანობით ჩართვის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს ნორმალური კორპორაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში;

6. კორპორაციის წარმატებული ფინანსური საქმიანობა დამოკიდებულია როგორც უმაღლესი მენეჯმენტის დროულ და სწორ გადაწყვეტილებებზე, ისე სტრატეგიებზე, რომელიც უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ კორპორაციის შიდა პირობების საფუძველზე, არამედ ქვეყანაში მოცემულ მომენტში არსებული ფინანსური სისტემის ზემოქმედების გათვალისწინებით;

7. აქტივებისა და პასივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების მიღება პირდაპირ არის დამოკიდებული ბაზრის მდგომარეობაზე. ამიტომ სახსრების დაბანდებისას კონსულტაცია უნდა გავიაროთ სპეციალისტებთან, რომელთაც შეუძლიათ გააკეთონ პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი;

8. დადგინდა, რომ კორპორაციების აქტივების სწორად მართვისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მისი ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი ფინანსური მდგომარეობის ხარისხის საფეხური. ანალიზის სქემა წარმოადგენს იერარქიულ სისტემას, რომელშიც შედის სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. კორპორაციის საერთო მდგომარეობის ანალიზისთვის გამოიყენება მონაცემები, რომელიც მიღებულია ბუღალტრული ბალანსის ანალიზით და ფინანსური შედეგების ანგარიშებიდან;

9. ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის წარმატებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური მენეჯერების საქმიანობასა და ფინანსური მენეჯმენტის დონეზე. ფინანსური მენეჯერები ადგენენ ფინანსებზე მოთხოვნებისა და მათი ხარჯვის ოპერატიულ გეგმებს, რათა ორგანიზაციას არ წარმოეშვას სიძნელეები მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად და ფინანსებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ავტორის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებული პუბლიკაციები:

1. ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი, ეკონომიკური თავისუფლების როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. ჟურნალი„დიპლომატია და სამართალი“, N2(3) 2017, გვ.150-154;

2. ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი, ანგლო-ამერიკული და გერმანული კორპორაციული მართვის მოდელების თავისებურებები და მათი მიმოხილვა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები „ეკონომიკა-XXI საუკუნე“. ლინკი:

http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=2&cat=pers1&leng=ge&adgi=324&title=%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9ა%E1%83%9D- 2018წ.

3. ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი, კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის არსი და მისი ეფექტურობის ხარისხის შეფასება. ჟურნალი„დიპლომატია და სამართალი“, N1(4), 2018.

4. ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი, კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ხარისხის შეფასება. ჟურნალი„ინტელექტი“, N1(60), 2018.

Natia Bedukadze-Mamatsashvili

Research of Directions of Corporations assets Operative Management Improvement

abstract

Dissertation thesis on topic : “Research of Directions of Corporations assets Operative Management Improvement”is represented under the following content: introduction; literature review, which has two sub-chapters- problematics of corporation assets management in the works of Georgian and foreigner researchers and general characteristics of corporations asserts operative management; the next chapters are results and their discussion, which has five chapters and it is followed by conclusion and list of literature used.

Topicality of research, research subject and problematics, purpose and objectives of research, research methodology and methodics, scientific innovation, practical and theoretical importance of research, approbation of dissertation work and publications are discussed in the introductory part of paper.The research topic is extremely relevant, as establishment of Georgia in the world economical space requires correct solution of socio-economical objectives and corporations play significant role in it and improvement of its activity management requires researches as well. High quality corporation management simplifies business-processes and contributes to better operative activity and low capital- expenditures. Nowadawys theoretical- methodologic aspects of operative management of corporative structure affect on economic life. Problem of managing assets in the shortest term is arising for any commercial organization and for its solution corporation shall create operative management plan where objectives directly connected to realization of entrepreneurial plans will be foreseen.Together with modern trends, experience of operative management in

foreign countries shall be foreseen when creating operative management system. Organizational- legal forms of Georgian enterprises are discussed in the second chapter.

Special attention is paid to joint stock companies, as the corporation is associated to large enterprise and legal form of large enterprise is joint stock company. Ratings of the largest corporations of Georgia is represented and several of them are briefly discussed. The paper focuses on corporation management models- German, anglo- american and French; General principles of corporation activity are discussed. Corporation assets, their classification, financial management and discussion of audit importance have special place in dissertation paper.

Systematic financial analysys is necessary in order to ensure effective and operative management of corporative finances. That is why the attention is paid to important analysis in this paper.

In the directions of corporations assets operative management improvement are discussed directions of improvement of operative management assets in certain group pf corporations- commercial banks, as well as, management of liquidity, Basel-III International Regulation, financial sustainability of bank and relevant statistical data is given.

Matters such as: methodic of operative management of reserves in corporations, operative management of expenses , operative management of procurements, operative management of finances, methodology of financial management of short-term financial investments and etc. are discussed in the next chapter.

In the terms of transitional economics use of short-term methods of management becomes topical. Interests balance of corporation relations participants shall be achieved in every important decision adopted by corporations. In addition, financial, credit and investing activity shall be implemented on the basis of defined strategic objectives. Operative management shall be implemented in order to ensure more effective management of corporation. The major aspects of operative management is firstly, operative management of operations which include:

- Operative management of entrepreneurial processes;
- Operative management of expenses and procurements;

- Operative management of stocks.

The next major aspect of operative management is operative management of finances, which implies:

- Operative management of accounts receivable;
- Operative management of short-term financial investments;
- Operative management of cash.

The following major moments shall be foreseen during operative management of enterprise:

- Relations ;
- Functions;
- Production control.

During operative management of accounts receivable are used such methods, as:

- Creation of clearing centers ;
- Use of securities;
- Insurance of debt relief.

The major provisions are set out in the conclusion and the following are the most important:

1. Effective system of corporations assets operative management shall rely on principles of transparency, accessibility, effectiveness, timeliness, completeness and accuracy of information;
2. The crucial in the process of implementation of operative management of corporations assets is: structurizing, planning, monitoring and adoption of fast decisions;
3. assessment of assets quality and analysis of capital adequacy are the most important indicators, which ensure the efficiency of corporation activity;
4. In each specific case through its highest management shall make a choice in the favor of gradual involvement of empluees in the system og working relation instead of cruel

management of hired personnel. This latter is the most important trend establishment and formation of normal corporative relations;

5. Successful financial activity of corporation depends on timely and correct decision of the supreme management, as well as on strategies, which shall be developed not only on the basis of internal terms of corporation, but also on the basis of influence of current financial system existing in the country;
6. When managing assets and liabilities, we should take into consideration, that receiving a profit directly depends on the condition of market. Therefore, when investing, we shall consult with specialist, which can make qualitative prognosis of potential risks;
7. For the purpose of adopting decision for correct management of corporation assets is necessary current analysis of its financial condition, which gives us possibility to determine quality level of its financial condition. analysis scheme is hierarchic system that includes various methods of statistical and mathematical analysis. Data which is derived from analysis of accounting balance and accounts of financial results is used for common condition of corporation;
8. Successes of organizations economic activity is significantly dependent on activity of financial managers and level of financial management. Financial managers draw out operative plans of financial requirements and their expenditures in order to ensure that organizations are not caused difficulties for implementation of current obligations and for satisfaction of demands on finances.

The thesis includes 154 pages, 5 draws and 4 tables, and from the contextual point of view – introduction, glossary, outcomes and judgements sections, conclusion and bibliography, as well as the list of internet-resources.